დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 27 მარტის N:15 დადგენილებით

შპს
„ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი“

სწავლის დაფინანსების მოპოვების
წესი

ბათუმი

2020

სარჩევი

თავი I. ზოგადი დებულებები 4

მუხლი 1. რეგულირების სფერო და მიზანი 4

მუხლი 2. სწავლის დაფინანსების ცნება 4

მუხლი 3. სწავლის დაფინანსების მოპოვების საფუძველი 4

მუხლი 4. საგრანტო კონკურსის ეტაპები 5

მუხლი 5. სწავლის დაფინანსების გაცემის პრინციპები 5

თავი II. საგრანტო კონკურსის გამოცხადება 5

მუხლი 6. საგრანტო კონკურსის გამოცხადება 5

მუხლი 7. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის წინაპირობები 6

მუხლი 8. წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი 6

მუხლი 9. კონკურსანტის შეფასების წესი და კრიტერიუმები 6

მუხლი 10. გრანტის ოდენობა და ზღვრული რაოდენობა 6

მუხლი 11. საგრანტო კონკურსის ვადები 7

თავი III. საგრანტო კონკურსის კომისია 7

მუხლი 12. კომისიის შემადგენლობა 7

მუხლი 13. კომისიის უფლებამოსილება 7

მუხლი 14. კომისიის საქმიანობაში ჩარევის დაუშვებლობა 8

მუხლი 15. ინტერესთა კონფლიქტი და კომისიის წევრის აცილება 8

მუხლი 16. კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა და კომისიის შემადგენლობის ცვლილება 9

მუხლი 17. კომისიის თავმჯდომარე 9

მუხლი 18. საგრანტო კონკურსის კომისიის აპარატი 10

მუხლი 19. კომისიის სხდომა 10

თავი IV. გამარჯვებული კონკურსანტების შესახებ გადაწყვეტილების მიღება და გადაწყვეტილების გასაჩივრება 11

მუხლი 20. კომისიის მიერ გადაწყვეტილების გამოტანა და გრანტის გაცემა 11

მუხლი 21. საჩივრების განმხილველი კომისია 11

მუხლი 22. კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება 12

მუხლი 23. საჩივრების განმხილველი კომისიის მიერ კომისიის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შედეგები 12

თავი V. გრანტის ამოქმედების წინაპირობები და მისი გაუქმების საფუძვლები 13

მუხლი 24. გრანტის ამოქმედების წინაპირობები 13
მუხლი 25. გრანტის გაუქმების საფუძვლები..... 13
მუხლი 26. გრანტის გაუქმება არასწორი ან/და ყალბი ინფორმაციის წარმოდგენის საფუძველზე..... 14
მუხლი 27. გრანტის გაუქმება დისციპლინური გადაცდომის საფუძველზე 14
მუხლი 28. გრანტის გაუქმება დაბალი აკადემიური მოსწრების საფუძველზე 14
თავი VI. დასკვნითი დებულებები 15
მუხლი 29. დებულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის წესი..... 15

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო და მიზანი

1. შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი“-ს (შემდეგში - „სასწავლო უნივერსიტეტი”) სწავლის დაფინანსების მოპოვების წესით (შემდეგში - „დებულება“) განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის მიერ საგრანტო კონკურსის გამოცხადებისა და ადმინისტრირების წესი, აგრეთვე, კონკურსანტების შეფასების, კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების, მისი გასაჩივრების, გრანტის გაცემისა და გაუქმების წესები.
2. წინამდებარე დებულების მიზანია სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის დაფინანსების მოპოვებისათვის ობიექტური, გამჭვირვალე, თანასწორი და სამართლიანი საგრანტო კონკურსის პირობების უზრუნველყოფა.

მუხლი 2. სწავლის დაფინანსების ცნება

1. სწავლის დაფინანსება გულისხმობს სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შესაბამისი სასწავლო პერიოდისათვის დადგენილი სწავლის გადასახადის შემცირებას.
2. სწავლის გადასახადის შემცირება გამოიხატება საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პირისათვის ფასდათმობის შესაბამისი ოდენობის გრანტის მინიჭებაში.

მუხლი 3. სწავლის დაფინანსების მოპოვების საფუძველი

1. სწავლის დაფინანსების მოპოვების საფუძველია ამ დებულებისა და რექტორის ბრძანებით განსაზღვრული წესით, საგრანტო კონკურსში კომისიის მიერ გამარჯვებულად გამოცხადება და რექტორის ბრძანების საფუძველზე გრანტის მინიჭება, გარდა ამ დებულებით დადგენილი გამონაკლისებისა.
2. წინამდებარე დებულების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სწავლის დაფინანსების მოპოვების საფუძველია დაფინანსების მოპოვების მსურველი პირის წერილობითი განცხადება, კომისიის მიერ ხმების სიითი უმრავლესობით პირისათვის გრანტის მინიჭების საკითხის დადებითად გადაწყვეტა და რექტორის ბრძანების საფუძველზე გრანტის მინიჭება.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კომისიის შემადგენლობის მიმართ სრულად ვრცელდება დებულების III თავით დადგენილი მოთხოვნები.
4. სასწავლო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის მიზნით, რექტორი უფლებამოსილია მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე უცხოელ სტუდენტებს, რომელთა სემესტრული შეფასების მაჩვენებელი (GPA) შესაბამისი სემესტრისათვის განისაზღვრება არანაკლებ 91 ქულით, მომდევნო სემესტრისათვის ბრძანებით მიანიჭოს არაუმეტეს 50%-იანი გრანტი.

მუხლი 4. საგრანტო კონკურსის ეტაპები

1. საგრანტო კონკურსი შედგება შემდეგი ეტაპებისგან:
   ა) საგრანტო კონკურსის გამოცხადება;
   ბ) კონკურსანტების რეგისტრაცია;
   გ) წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასება;
   დ) კონკურსანტებთან გასაუბრება და მათთან გასაუბრების შეფასება;
   ე) კომისიის მიერ კონკურსანტის გამარჯვებულად გამოცხადება;
   ვ) სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მიერ გამარჯვებული კონკურსანტისათვის გრანტის მინიჭება.

მუხლი 5. სწავლის დაფინანსების გაცემის პრინციპები

1. სწავლის დაფინანსების მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ საგრანტო კონკურსის გამართვის შედეგად, რომელიც ემყარება შემდეგ პრინციპებს:
   ა) კომისიის ობიექტურობა და მიუკერძოებლობა;
   ბ) ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალობა;
   გ) შეჯიბრებითობა და სამართლიანი კონკურენცია;
   დ) თანასწორობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა.
2. შესაბამისი ობიექტური გარემოებების არსებობის შემთხვევაში, პირთა უთანასწორობის აღმოფხვრის მიზნით, საგრანტო კონკურსით შესაძლებელია უპირატესობა მიენიჭოს კონკურსანტებს, რომლებიც სხვა კატეგორიის კონკურსანტებთან შედარებით იმყოფებიან არსებითად არათანაბარ მდგომარეობაში.

თავი II. საგრანტო კონკურსის გამოცხადება

მუხლი 6. საგრანტო კონკურსის გამოცხადება

1. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით ცხადდება საგრანტო კონკურსი, რომლითაც, ამ დებულებით დადგენილი წესით, განისაზღვრება:
   ა) საგრანტო კონკურსში მონაწილეობის წინაპირობები;
   ბ) წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი;
   გ) კონკურსანტის შეფასების წესი და კრიტერიუმები;
   დ) გრანტის ოდენობა და ზღვრული რაოდენობა;
   დ) საგრანტო კონკურსის ვადები;
   ე) კომისიის შემადგენლობა;
   ვ) საჩივრების განმხილველი კომისიის შემადგენლობა.
2. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება ქვეყნდება საჯაროდ როგორც სასწავლო უნივერსიტეტის თვალსაჩინო ადგილას, აგრეთვე, ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელებში.

3. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება საჯაროდ უნდა გამოქვეყნდეს განაცხადის მიღების ვადის დაწყებამდე არაუგვიანეს 10 დღით ადრე.

მუხლი 7. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის წინაპირობები

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის წინაპირობებით დგინდება ის კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც, პირს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საგრანტო კონკურსში.
2. დაუშვებელია საგრანტო კონკურსის წინაპირობების იმგვარი ჩამოყალიბება, რომ იგი იწვევდეს არსებითად ერთნაირ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული მოთხოვნების არსებობას.

მუხლი 8. წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:
   ა) საგრანტო კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადება;
   ბ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;
   გ) სამოტივაციო წერილი;
   დ) ორი სარეკომენდაციო წერილი.
2. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით განისაზღვრება შესაბამისი საგრანტო კონკურსისათვის დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი, აგრეთვე, მოთხოვნები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს წარმოდგენილი დოკუმენტები.

მუხლი 9. კონკურსანტის შეფასების წესი და კრიტერიუმები

1. საგრანტო კონკურსის ფარგლებში, კონკურსანტი ფასდება 100 (ასი) ქულიანი სისტემით, საიდანაც 50 (ორმოცდაათი) ქულით ფასდება წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო 50 (ორმოცდაათი) ქულით ფასდება კონკურსანტთან გასაუბრება.
2. კონკურსანტის შეფასება ხორციელდება კომისიის თითოეული წევრის მიერ ინდივიდუალურად, ხოლო საბოლოო შეფასება გამოიანგარიშება ინდივიდუალური შეფასებების ჯამის კომისიის წევრთა რაოდენობაზე გაყოფის შედეგად.
3. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებისას ქულათა გადანაწილების წესი და კრიტერიუმები, აგრეთვე, გასაუბრების შეფასების წესი და კრიტერიუმები განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

მუხლი 10. გრანტის ოდენობა და ზღვრული რაოდენობა

1. საგრანტო კონკურსის ფარგლებში შესაძლებელია გაიცეს 30 (ოცდაათი), 40 (ორმოცი) და 50 (ორმოცდაათი) %-იანი გრანტი.

2. გამონაკლის შემთხვევებში, სასწავლო უნივერსიტეტის მარკეტინგული მიზნებიდან ან/და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობის ან/და სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მიზნით, შესაძლებელია გაიცეს 100 (ასი) %-იანი გრანტი.
3. სასწავლო დაფინანსების ზღვრული რაოდენობა და კონკრეტული ოდენობის გრანტის მოპოვებისათვის აუცილებელი ქულათა რაოდენობა განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

მუხლი 11. საგრანტო კონკურსის ვადები

1. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით უნდა განისაზღვროს:
   ა) საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტების რეგისტრაციის დაწყებისა და დასრულების ვადა;
   ბ) წარმოდგენილი დოკუმენტების კომისიის მიერ შეფასების ვადა;
   გ) კონკურსანტებთან გასაუბრების ჩატარების ვადა;
   დ) კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის ვადა.
2. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტების რეგისტრაციის ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 20 კალენდარულ დღეს.
3. კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს კონკურსანტების რეგისტრაციის საბოლოო თარიღის დასრულებიდან 3 თვეს.

თავი III. საგრანტო კონკურსის კომისია

მუხლი 12. კომისიის შემადგენლობა

1. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.
2. კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისგან, რომელთაგან ერთ წევრს უნდა წარმოადგენდეს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ან მის მიერ წარმოდგენილი სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი.
3. კომისია შესაძლებელია შედგებოდეს, როგორც სასწავლო უნივერსიტეტთან შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში მყოფი, აგრეთვე, საგანმანათლებლო სივრცეში მიუკერძოებლობით გამორჩეული დამოუკიდებელი მესამე პირებისაგან.

მუხლი 13. კომისიის უფლებამოსილება

1. კომისია წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილ დამოუკიდებელ კოლეგიურ ორგანოს, რომელიც:
   ა) იღებს გადაწყვეტილებას წარმოდგენილი არასრული განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ;

ბ) იღებს გადაწყვეტილებას საგრანტო კონკურსიდან კონკურსანტის დისკვალიფიკაციის შესახებ;

გ) იღებს გადაწყვეტილებას კომისიის წევრის აცილების შესახებ;

დ) აფასებს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებსა და მასთან გასაუბრებას;

ე) კომისიის თითოეული წევრის მიერ განმცხადებლის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას საგრანტო კონკურსში კონკურსანტის გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ.

მუხლი 14. კომისიის საქმიანობაში ჩარევის დაუშვებლობა

1. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ამ დებულებისა და საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე დამოუკიდებლად და მის საქმიანობაში რაიმე ფორმით პირდაპირი ან/და არაპირდაპირი ჩარევა დაუშვებელია.
2. კომისიის თითოეული წევრი კონკურსანტს აფასებს დამოუკიდებლად და მასზე კომისიის სხვა წევრების ან/და ნებისმიერი სხვა მესამე პირის მხრიდან ზეგავლენის მოხდენის მცდელობა დაუშვებელია.
3. სასწავლო უნივერსიტეტთან შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში მყოფი პირის მიერ კომისიის საქმიანობაში ჩარევის დაუშვებლობის საწინააღმდეგო ქმედების განხორციელება, მოქმედი შიდა ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით, გამოიწვევს მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას.

მუხლი 15. ინტერესთა კონფლიქტი და კომისიის წევრის აცილება

1. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა კომისიის წევრისა და კონკურსანტის ნათესაური ან/და ახლო სოციალური კავშირი, აგრეთვე, სხვა ნებისმიერი ისეთი გარემოება, რომელმაც შესაძლებელია გავლენა მოახდინოს კომისიის წევრის მიუკერძოებლობაზე.
2. ამ მუხლის 1-ლი ნაწილის მიზნებისათვის, ნათესავებად ითვლებიან:

   ა) მეუღლე;

   ბ) დანიშნული;

   გ) პირდაპირი ხაზის ნათესავები;

   დ) და-ძმა;

   ე) დისშვილები და ძმისშვილები;

   ვ) მშობლების და-ძმები;

   ზ) დანათესავებულები;

   თ) პირები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოჯახური ურთიერთობით არიან დაკავშირებულები.

3. ამ მუხლის 1-ლი ნაწილის მიზნებისათვის, ახლო სოციალურ კავშირი მოიცავს კომისიის წევრისა და კონკურსანტის ისეთ სოციალურ კავშირს, რომელმაც შესაძლებელია ეჭვი გააჩინოს კომისიის წევრის მიუკერძოებლობაზე.
4. ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში, კომისიის წევრი ვალდებულია დაუყოვნებლივ განაცხადოს თვითაცილება.
5. თვითაცილების შესახებ განცხადება წარედგინება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს, რომელიც მიღებისთანავე ითვლება დაკმაყოფილებულად.
6. საგრანტო კონკურსში მონაწილე ნებისმიერ პირს, მათ შორის კომისიის წევრებს, უფლება აქვთ აცილება გამოუცხადონ კომისიის წევრს.
7. კომისიის აცილების საფუძველია ინტერესთა კონფლიქტის არსებობა, ხოლო აცილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კომისია ხმების სიითი უმრავლესობით.
8. პირი, რომლის წინააღმდეგაც წარმოდგენილია აცილების შესახებ განცხადება, საკითხის გადაწყვეტაში არ სარგებლოს ხმის უფლებით, თუმცა მას უფლება აქვს კომისიის წინაშე წარმოადგინოს თავისი პოზიცია.

მუხლი 16. კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა და კომისიის შემადგენლობის ცვლილება

1. კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია:
   ა) კომისიის უფლებამოსილების ვადის გასვლა;
   ბ) შრომითსამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა (სასწავლო უნივერსიტეტთან ასეთი შრომითსამართლებრივი ურთიერთობის არსებობის შემთხვევაში);
   გ) თვითაცილება;
   დ) აცილება;
   ე) უფლებამოსილების შეწყვეტის თხოვნით რექტორისათვის წერილობითი განცხადების წარდგენა;
   ვ) კომისიის წევრის წინააღმდეგ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყება;
   ზ) სხვა გარემოებები, რომლებიც შეუძლებელს ხდის კომისიის წევრის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელებას.
2. კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, კომისიის წევრთა თავდაპირველი რაოდენობა შეივსება რექტორის ბრძანებით მიერ განსაზღვრული პირით/პირებით.
3. კომისიის ახალი წევრების მიმართ იგივე ფორმით მოქმედებს ამ წესით დადგენილი თვითაცილებისა და აცილების ნორმები.

მუხლი 17. კომისიის თავმჯდომარე

1. კომისია თავისი შემადგენლობიდან ხმების სიითი უმრავლესობით ირჩევს თავმჯდომარეს.

2. კომისიის თავმჯდომარე ადგენს კომისიის სხდომაზე განსახილველი საკითხების დღის წესრიგს, უზრუნველყოფს მასში ცვლილებების შეტანას, იწვევს და ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს, ადგენს და ხელს აწერს სხდომის ოქმს, აგრეთვე, კოორდინაციას უწევს საგრანტო კომისიის აპარატის საქმიანობას.
3. კომისიის თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების შესრულების დროებითი შეუძლებლობის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ახორციელებს მისი მოადგილე, რომელიც ინიშნება კომისიის თავმჯდომარის ბრძანებით.

მუხლი 18. საგრანტო კონკურსის კომისიის აპარატი

1. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ მხარდაჭერას ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.
2. სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, საგრანტო კონკურსის თავმჯდომარესთან შეთანხმებით, ბრძანებით ადგენს საგრანტო კონკურსის კომისიის აპარატის საქმიანობის წესსა და შემადგენლობას.
3. საგრანტო კონკურსის კომისიის აპარატი, სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღანელის ბრძანებით დადგენილი წესით:

   ა) დაინტერესებულ პირებს აწვდის ინფორმაციას საგრანტო კონკურსის პირობების შესახებ და საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად უწევს მათ ტექნიკურ მხარდაჭერას;

   ბ) რეგისტრაციაში ატარებს კონკურსანტებს;

   გ) ამოწმებს განაცხადის ფორმალურ შესაბამისობას საგრანტო კონკურსით მოთხოვნილ პირობებთან;

   დ) არასრული განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში, უზრუნველყოფს კონკურსანტის ინფორმირებას დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტების შესახებ (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული საგრანტო კონკურსის მარეგულირებელ შიდა ნორმატიულ აქტებში);

   ე) ამოწმებს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორესა და ნამდვილობას;

   ვ) ახორციელებს მიღებული განაცხადების სისტემატიზაციასა და კომისიისათვის გადაცემას;

   ზ) ადგენს საგრანტო კონკურსის პირობებში შემოსული განაცხადების სტატისტიკურ მონაცემებს;

   თ) ახორციელებს კომისიის მუშაობასთან დაკავშირებულ სხვა ორგანიზაციულ-ტექნიკურ ფუნქციებს.

მუხლი 19. კომისიის სხდომა

1. კომისიის სხდომა მოიწვევა კომისიის თავმჯდომარის მიერ, რომელიც სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 3 დღით ადრე კომისიის ყველა წევრს უგზავნის დღის წესრიგის პროექტს.

2. დღის წესრიგის პროექტის მიღებიდან 2 დღის ვადაში, კომისიის თითოეულ წევრს უფლება აქვს მოითხოვოს დღის წესრიგის პროექტში დამატებების შეტანა, რომელიც შესაბამისი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ეგზავნება კომისიის თავმჯდომარეს.
3. კომისიის სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება კომისიის მთლიანი შემადგენლობა. კომისიის წევრი სხდომას შეიძლება დაესწროს როგორც უშუალოდ, ასევე დისტანციური კომუნიკაციის საშუალებით.
4. თუ ამ დებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმების სიითი უმრავლესობით.
5. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე კომისიის თავმჯდომარე ადგენს სხდომის ოქმს, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.

თავი IV. გამარჯვებული კონკურსანტების შესახებ გადაწყვეტილების მიღება და გადაწყვეტილების გასაჩივრება

მუხლი 20. კომისიის მიერ გადაწყვეტილების გამოტანა და გრანტის გაცემა

1. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილებისათვის განსაზღვრულ ვადაში, საგრანტო კომისიას გამოაქვს გადაწყვეტილება საგრანტო კონკურსში კონკურსანტის/კონკურსანტების გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ, რომელსაც 2 (ორი) დღის ვადაში წარუდგენს რექტორს.
2. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ქვეყნდება საჯაროდ როგორც სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას, აგრეთვე ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელებში.
3. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, შესაბამისი საგრანტო კონკურსისათვის დადგენილი პირობებისა და კონკურსანტის მიერ მოპოვებული ქულების შესაბამისად, კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან და ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის გასვლიდან 3 (სამი) დღის ვადაში, გამოსცემს ბრძანებას საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პირისათვის/პირებისათვის გრანტის მინიჭებასთან დაკავშირებით.

მუხლი 21. საჩივრების განმხილველი კომისია

1. საგრანტო კონკურსის ამ დებულებითა და შესაბამისი საგრანტო კონკურსის პირობების მოთხოვნათა დაცვით ჩატარების მონიტორინგისათვის, სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით იქმნება საჩივრების განმხილველი კომისია.
2. საჩივრების განმხილველი კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს არანაკლებ 3 (სამი) წევრი, რომელთაგან ერთ წევრს უნდა წარმოადგენდეს სასწავლო უნივერსიტეტის თვითმმართველობის დელეგატი.

3. საჩივრების განმხილველი კომისიის შემადგენლობაში დაუშვებელია შედიოდეს ის პირი, რომელიც არის კომისიის წევრი ან/და რაიმე სხვა ფორმით იღებდა მონაწილეობას საგრანტო კონკურსის მიმდინარეობაში.
4. საჩივრების განმხილველი კომისია გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწერება კომისიის ყველა წევრი.
5. საჩივრების განმხილველი კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმების სიითი უმრავლესობით.
6. საჩივრების განმხილველი კომისიის მიმართ სრულად ვრცელდება ამ დებულებით განსაზღვრული ნორმები, რომლებიც კრძალავს კომისიის საქმიანობაში ჩარევას, არეგულირებს ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში აცილების/თვითაცილებისა და კომისიის წევრის ჩანაცვლების საკითხებს.

მუხლი 22. კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. ნებისმიერ კონკურსანტს უფლება აქვს კომისიის საბოლოო გადაწყვეტილება გაასაჩივროს საჩივრების განმხილველ კომისიაში, მისი საჯაროდ გამოქვეყნებიდან 3 (სამი) დღის ვადაში.
2. კონკურსანტის მიერ წარდგენილი საჩივარი უნდა იყოს დასაბუთებული და უნდა შეიცავდეს საგრანტო კომისიის მონაწილე პირებისაგან ამ დებულებითა და საგრანტო კონკურსის პირობებით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის ფაქტების აღწერასა და შესაბამის მტკიცებულებებს.
3. საჩივრების განმხილველი კომისია საჩივარს განიხილავს მისი მიღებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში, რომლის შემდეგაც გამოაქვს გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებისა და საგრანტო კომისიის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ.
4. საჩივრების განმხილველი კომისია უფლებამოსილია კომისიის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება გამოაცხადოს ბათილად მხოლოდ კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ განაცხადთან მიმართებით ან სრულად, თუ დადგინდება, რომ საგრანტო კონკურსი ჩატარდა ამ დებულებისა და საგრანტო კონკურსის მოთხოვნების იმგვარი დარღვევებით, რომლებმაც არსებითი ზეგავლენა მოახდინა საგრანტო კონკურსის შედეგებზე.

მუხლი 23. საჩივრების განმხილველი კომისიის მიერ კომისიის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შედეგები

1. საჩივრების განმხილველი კომისიის მიერ კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სრულად ბათილად ცნობის შემთხვევაში, საგრანტო კონკურსი ცხადდება ჩაშლილად.
2. საჩივრების განმხილველი კომისიის მიერ კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მხოლოდ კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ განაცხადთან მიმართებით ბათილად ცნობის შემთხვევაში, ამ დებულებით დადგენილი წესითა

და საგრანტო კონკურსის პირობების შესაბამისად, მოცემული განაცხადის შეფასება, მათ შორის კონკურსანტთან გასაუბრების ნაწილში, განხორციელდება კომისიის ახალი შემადგენლობის მიერ, რომელშიც არ უნდა შედიოდნენ მანამდე არსებული კომისიის წევრები.

3. კომისიის ახალი შემადგენლობის მიმართ სრულად ვრცელდება ამ დებულებით განსაზღვრული ნორმები, რომლებიც კრძალავს კომისიის საქმიანობაში ჩარევას, არეგულირებს ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში აცილების/თვითაცილებისა და კომისიის წევრის ჩანაცვლების საკითხებს.
4. კომისიის ახალი შემადგენლობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას.

თავი V. გრანტის ამოქმედების წინაპირობები და მისი გაუქმების საფუძვლები

მუხლი 24. გრანტის ამოქმედების წინაპირობები

1. გრანტის ამოქმედება გულისხმობს საგრანტო კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ ფინანსური შეღავათით სარგებლობის უფლების მოპოვებას.
2. გრანტის ამოქმედების წინაპირობას შეიძლება წარმოადგენდეს:

   ა) კონკურსანტის სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხვა;

   ბ) კონკურსანტის უცხოეთში მიღებული განათლების უფლებამოსილი ორგანოს მიერ აღიარება;

   გ) საგრანტო კონკურსში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნამდვილობის შესაბამისი ფორმით დადასტურება.
3. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, საგრანტო კონკურსის პირობების შესაბამისად, შესაძლებელია დადგინდეს გრანტის ამოქმედების განსხვავებული ან/და დამატებითი წინაპირობები.

მუხლი 25. გრანტის გაუქმების საფუძვლები

1. გრანტის გაუქმება გულისხმობს საგრანტო კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტის ფინანსური შეღავათით სარგებლობის უფლების დაკარგვას.
2. გრანტის გაუქმების საფუძვლებია:

   ა) საგრანტო კონკურსის ფარგლებში კონკურსანტის მიერ არასწორი ან/და ყალბი ინფორმაციის წარმოდგენა;

   ბ) საგრანტო კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტის მხრიდან დისციპლინური გადაცდომა;

   გ) საგრანტო კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტის დაბალი აკადემიური მოსწრება.

3. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, საგრანტო კონკურსის პირობების შესაბამისად, შესაძლებელია დადგინდეს გრანტის გაუქმების დამატებითი საფუძვლები.

მუხლი 26. გრანტის გაუქმება არასწორი ან/და ყალბი ინფორმაციის წარმოდგენის საფუძველზე

1. გრანტის ამოქმედების დროის მიუხედავად, თუ დადგინდება, რომ საგრანტო კონკურსში გამარჯვებულმა კონკურსანტმა საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოადგინა არასწორი ან/და ყალბი ინფორმაცია, მისთვის მინიჭებული გრანტი რექტორის ბრძანებით ცხადდება ბათილად.
2. გრანტის არასწორი ან/და ყალბი ინფორმაციის წარმოდგენის საფუძვლით გაუქმების შემთხვევაში, სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია კონკურსანტისგან მოითხოვოს იმ თანხის ანაზღაურება, რომლითაც აღნიშნული გრანტის მოქმედების ვადის განმავლობაში მან მიიღო ფინანსური შეღავათი.
3. გრანტის გაუქმებასთან ერთად, სასწავლო უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული აქტების შესაბამისად, კონკურსანტს შესაძლებელია დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

მუხლი 27. გრანტის გაუქმება დისციპლინური გადაცდომის საფუძველზე

1. საგრანტო კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში, დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია კონკურსანტისათვის მინიჭებული გრანტი გაუქმდეს.
2. დისციპლინური გადაცდომის სიმძიმიდან გამომდინარე, დისციპლინური კომიტეტი უფლებამოსილია არ გააუქმოს გრანტი, შეაჩეროს გრანტის მოქმედება არაუმეტეს 1 (ერთი) წლის ვადით ან გააუქმოს გრანტი მოქმედების მთლიან პერიოდზე.

მუხლი 28. გრანტის გაუქმება დაბალი აკადემიური მოსწრების საფუძველზე

1. სტუდენტზე გაცემული გრანტის მოქმედება დამოკიდებულია სემესტრული შეფასების მაჩვენებელზე (GPA), გარდა პირველი სამი სემესტრისა.
2. გარდა ამ მუხლის 1-ელ პუნქტში აღნიშნული სემესტრებისა, ყოველ შემდეგ სემესტრში, გრანტის მოქმედების გაგრძელების წინაპირობაა საგრანტო კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ წინა სემესტრში სემესტრული შეფასების სახით მინიმუმ 81 ქულის მოპოვება.
3. საგრანტო კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ სემესტრული შეფასების სახით 81 ქულაზე ნაკლები შეფასების მოპოვების შემთხვევაში, გრანტის მოქმედება აღნიშნული სემესტრის ბოლოს გაუქმდება.
4. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებით, ამ მუხლით დადგენილი საფუძვლის მიუხედავად, კონკურსანტს შეიძლება შეუნარჩუნდეს

გრანტი, თუ მისი დაბალი აკადემიური მოსწრება გამოწვეულია მისგან დამოუკიდებელი და დაუძლეველიობიექტური დამაბრკოლებელი გარემოებებით.

5. საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტს უფლება აქვს მოითხოვოს გრანტის მოქმედების აღდგენა თუ ის სემესტრული შეფასების სახით მოიპოვებს მინიმუმ 81 ქულას.

თავი VI. დასკვნითი დებულებები

მუხლი 29. დებულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის წესი

1. დებულებაში ცვლილების ან/და დამატების ან/და ახალი რედაქციის დამტკიცების უფლება აქვს აკადემიურ საბჭოს.
2. დებულებაში ცვლილების ან/და დამატების ან/და ახალი რედაქციის დამტკიცებისას, აკადემიური საბჭო უზრუნველყოფს განსახილველ საკითხებთან მიმართებით სასწავლო უნივერსიტეტის ყველა იმ ორგანიზაციულ-სტრუქტურული ერთეულების ჩართულობას, რომელსაც ეხება ცვლილებები.